„ნეფთიანიკი“ — „კრილია სოვეტოვი“ 3:0

„არარატი“ — ცსკა 0:2

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ (კიევი) 0:0

„შახტიორი“ — „ზარია“ 2:1

„ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:1

ფეხბურთი 67

„ა“ ჯგუფი
I [illegible]

გუშინ...
სსრ კავშირის პირველობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 125 (3355)
29
1967 წ.
ივნისი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

დიდი ანგარიშით

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 28 ივნისი.

„კაირატი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (თბილისი) 0:3 (0:0).

„კაირატი“: ბუბენეცი, დიშლენკო, სტეპანოვი, ფედოტოვი, კამინსკი, მუსინი, ოსტროუშკო (ვორონჩიხინი), ეგოროვი, სეგიზბაევი, კვოჩკინი, სავჩენკო.

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ჭელიძე, დათუნაშვილი (იამანიძე), გ. სიჭინავა, ასათიანი, ნოდია, მესხი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:2.

თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში თამაში შუა მინდორში მიმდინარეობდა. ორივე გუნდი გაურბოდა გამწვავებას და დუნედ მოქმედებდა, მაგრამ ტაიმის დასასრულს თბილისელებმა გააძლიერეს იერიშები, მესხმა თავის ფლანგზე ზედიზედ განახორციელა სახიფათო გარღვევები და მასპინძლებს სასწრაფოდ დაჭირდათ დაცვის რიგების გაძლიერება. ხელსაყრელ პოზიციაში გავიდა ნოდია, რომლის მიერ ძალზე, ძლიერად დარტყმული ბურთი ნახტომში მოიგერია ბუბენეცმა.

სრული ძალით, ტემპში ათამაშდნენ დინამოელები შესვენების შემდეგ. გ. სიჭინავა და იამანიძე აქტიურად გადიოდნენ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს და მხარს უჭერდნენ თავდამსხმელებს.

გოლი გატანილ იქნა 69-ე წუთზე. „კაირატი“ დაჯარიმდა და ცხოვრებოვმა მოულოდნელად, ძალიან ძლიერად და ზუსტად დაარტყა მეტოქის კარში. ბუბენეცი უძლური იყო ეხსნა თავისი გუნდი და გაუშვა ბურთი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მესხი დრიბლინგით გავიდა მცველთა შუა, სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანში და ლამაზი გოლი გაიტანა.

„კაირატს“ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და მანაც მთელი ძალები შეტევაში გადაისროლა. სახიფათო მომენტები შექმნეს კამინსკიმ, კვოჩკინმა, სეგიზბაევმა, მერე კი სტეპანოვის მიერ დარტყმული ძნელი ბურთი აიღო ურუშაძემ. მაგრამ მასპინძლებს ეს შტურმი მესამე გოლად დაუჯდათ საკუთარ კარში. 83-ე წუთზე მესხმა და ნოდიამ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, რაც ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

„კაირატი“ — „დინამო“ (თბილისი) 0:3

ვეკუას გადამწყვეტი...

ტაშკენტი. „პახტაკორის“ სტადიონი. 28 ივნისი.

„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:1 (0:0).

„პახტაკორი“: პშენიჩნიკოვი, დოცენკო, შტერნი, ნაუმენკო, სუიუნოვი, ინოიატოვი, იუნუსოვი, აბდურაიმოვი, ბექთაშევი, რახმატულაევი, იბრაგიმოვი.

„ტორპედო“: ანდღულაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ძოძუაშვილი, ზარია, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

უზბეკეთის დედაქალაქში თერმომეტრი თითქმის 40 გრადუსს აღწევდა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ფეხბურთელებს საგრძნობლად უჭირდათ თამაში.

მცირე ტერიტორიულ უპირატესობას თავიდან „პახტაკორმა“ მიაღწია და რამდენიმე სახიფათო შეტევაც განახორციელა, მაგრამ 25-ე წუთზე გუნდი მინდორზე დარჩა 10 კაცის შემადგენლობით, ვინაიდან მსაჯმა არასპორტული საქციელისთვის თამაშიდან გააძევა აბდურაიმოვი და ქუთაისელებს საშუალება მიეცათ თავდასხმის რგოლი სრული შემადგენლობით ჰყოლოდათ წინა ხაზზე.

ტაშკენტელები მეორე ტაიმში ეპიზოდური კონტრიერიშებით ცდილობდნენ შეექმნათ გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ წინ წასული მოთამაშეები მაშინვე საკუთარი საჯარიმო მოედნისკენ იხევდნენ, რათა ტორპედოელთა შეტევისას დაცვას არ დამჩნეოდა მოთამაშეთა რიცხობრივი ნაკლებობა.

და „პახტაკორმა“ მაინც ვერ შეძლო კარის გადარჩენა. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ქუთაისელებს კუთხური ბურთის მოწოდების უფლება მიეცათ. ერქომაიშვილმა კარის წინ დაკიდა ბურთი, მას ყველაზე ადრე მიუსწრო ვეკუამ და თავით გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

ამ ორი ქულის მეშვეობით ქუთაისის გუნდმა მნიშვნელოვნად გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

„პახტაკორი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:1

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	13	7	6	0	23—5	20
„დინამო“ (კიევი)	13	7	5	1	16—5	19
„დინამო“ (თბილისი)	14	6	6	2	18—11	18
„შახტიორი“ (დონეცკი)	14	6	6	2	17—16	18
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	13	6	4	3	23—11	16
„ტორპედო“ (მოსკოვი)	13	7	2	4	17—11	16
„დინამო“ (მინსკი)	12	5	5	2	14—8	15
ასკ (როსტოვი)	13	6	3	4	15—16	15
ცსკა	13	5	2	6	12—12	12
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	13	2	8	3	7—7	12
„ტორპედო“ (ქუთაისი)	14	3	6	5	10—14	12
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	12	3	5	4	10—12	11
„არარატი“ (ერევანი)	13	3	5	5	9—12	11
„ზარია“ (ლუგანსკი)	13	3	5	5	8—11	11
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	14	2	6	6	11—17	10
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	13	4	2	7	8—18	10
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	13	2	5	6	6—15	9
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	13	1	6	6	7—16	8
„კაირატი“ (ალმა-ათა)	14	1	5	8	7—21	7

„ბ“ ჯგუფი
IV ზონა

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

სოხუმის დინამოელებმა საკუთარ მინდორზე მიიღეს ზონის ერთ-ერთი ლიდერი — კაფანის „ლერნაგორცი“, მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 2:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:1, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0, „ლორი“ (კიროვაკანი) — „დილა“ (გორი) 1:0, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „მადაროელი“ (ჭიათურა) 2:1, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „არაქსი“ (ერევანი) 2:0.

[illegible] საათი!

◆ **ვესტეროსი,** 28 ივნისი. შვეციის ამ პატარა ქალაქის სტადიონის ბილიკზე ორ მილზე რბენაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა ავსტრალიელმა რ. კლარკმა — 8.19,8 (ფრანგი მ. ჟაზის ძველი მიღწევა 2,8 წამით გაუმჯობესდა). ახლა კლარკი მსოფლიოს 6 რეკორდის მფლობელია: ორ, სამ, ექვს და ათ მილზე, ხუთ და ათ კილომეტრზე რბენაში. ავსტრალიელამდე ამგვარი მდიდარი „კოლექციით“ მხოლოდ ორ ცნობილ სტაიერს შეეძლო დაეკვეხნა: ფინელ პ. ნურმის და ჩეხოსლოვაკიელ ე. ზატოპეკს.

◆ **ფლორენცია,** 28 ივნისი. ადგილობრივი „ფიორენტინისა“ და სან-პაულუს „სანტოსის“ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მწვავე ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა — 1:1. ანგარიში გახსნეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა: 75-ე წუთზე ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ალბერტომ. 4 წუთის შემდეგ ბადარიმ წონასწორობა აღადგინა.

◆ *რომი, 28 ივნისი. საერთაშორისო შაშში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის დამთავრებამდე 1 ტური დარჩა, მაგრამ საბჭოთა ნაკრებმა პრაქტიკულად გაინაღდა* I *ადგილი: ბოლო ტურში ჩეხოსლოვაკიელებთან სსრ კავშირის მოშამშეებს ყაიმიც ყოფნით სამისოდ. საბჭოთა გუნდს 10 ქულა აქვს 10-დან!* II *ადგილზე მყოფი ფრანგები ლიდერს 2 ქულით ჩამორჩებიან.* IV *ტურში საბჭოთა დიდოსტატებმა ანდრეიკომ, შჩოგოლევმა და ოსტატმა კაპლანმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს შვეიცარიელები, ხოლო მეხუთეში — ასეთივე ანგარიშით — ბელგიელები.*

მიზნისკენ...
ფოტოეტიუდი **ბ. ქვათაძისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარტიისა და მთავრობის დადგენილება — მოქმედებაში!

◆

დაბადების წელი — 1967

მთავარი გზიდან ავტომანქანა ხელმარცხნივ უხვევს. სამასიოდე მეტრიც და თვალწინ ლურჯად მოლივლივე ტბა იშლება. მისი სახელია „ნაჭარმაგევი“, დაბადების წელი — 1967. ერთი შეხედვით უცხო თვალმა შეიძლება არც კი ირწმუნოს ტბის „სინორჩე“...

უკვე ერთი თვეა „ნაჭარმაგევი“ მშრომელთა გამაჯანსაღებელ კერად იქცა. კეთილმოწყობით ეს ტბა ალბათ ბევრ ბაზას გაუწევს მეტოქეობას. დამსვენებელთა სამსახურშია გასახდელები, საჩრდილობელი ქოლგები, სახეირნო ნავები, ღია პავილიონები, ნაყინის, გამაგრილებელი წყლისა თუ ხილის ჯიხურები. გემოვნებით მოუწყვიათ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საჭიდაო ხარბიელი. იქვე იყიდება მხუბუქი სპორტული ინვენტარიც.

გასულ კვირას ხალხმრავლობა იყო „ნაჭარმაგევზე“. ამ დილით ჯერ ფლავის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა აახმიანეს ტბის შემოგარენი, მერე მოვიდნენ სტუმრები გორიდან, კარალეთიდან, ახალდაბიდან, ოთანაშენიდან და რაიონის სხვა სოფლებიდან. მოედნებზე უმალვე ასპარეზობა გაჩაღდა, ახალგაზრდობა ძალას ცდიდა. ხანდაზმულები ნაპირზე ჩამომსხდარიყვნენ.

— რაც მე მახსოვს, ამ ადგილებში უმეტესად ჭაობი იყო. აგერ, ამ წყაროს „რაკრაკას“ ვეძახდით, ჭეელობაში ნახირს მის პირზე ვასვენებდით, ჩვენ კი ჭიდაობას გავმართავდით და ასე ვერთობოდით, — მითხრა კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, 65 წლის ნიკოლოზ ბიბილაშვილმა.

მალე ნორჩებიც ეწვივნენ „ნაჭარმაგევს“: ნანა ჩიტალაძე, მარიკა და ქეთინო არსენიძეები... მზე რომ გადაიხარა, საჭიდაოზე დასცხეს ყიჟინა. ახალგაზრდებს წრე შეეკრათ და ზურნასლა ელოდნენ. დიდხანს გაგრძელდა ფალავანთა ჭიდილი.

კმაყოფილი დარჩნენ „ნაჭარმაგევის“ სტუმრები.

აქ, საერთოდ, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. გორის რაიონის კომკავშირელებმა, სპორტკავშირმა შემდგომშიც სისტემატურად უნდა იზრუნონ მშრომელთა აქტიური გართობა - დასვენებისთვის. გეგმაზომიერად უნდა ტარდებოდეს რაიონული პირველობები, ეწყობოდეს მასობრივი ღონისძიებები. და, რაც მთავარია, მეტ ყურადღებას მოითხოვს ბავშვებში ცურვის მასობრივად შესწავლის საქმე.

თ. ბაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. კარალეთი,
გორის რაიონი.

• • •

სურათებზე: „ნაჭარმაგევის“ ტბაზე; სარბიელზე არიან კალათბურთელები და მოჭიდავეები.

ფოტო ავტორისა.

სპორტული პატაკი იუბილეს

„განთიადის“ ფიზკულტურელები ოქტომბრის იუბილეს უძღვნიან რესპუბლიკურ ესტაფეტას, რომლის დევიზია „ყველა სპორტსმენი — შრომის მოწინავე“.

განთიადელთა 140-ათასიანი არმია გულდასმით ემზადება ამ საინტერესო ღონისძიებისთვის, რომელიც 10 ივლისს დაიწყება და თითქმის მთელ რესპუბლიკას მოივლის. მახარაძელი მეჩაიეებისგან ესტაფეტას მიიღებენ ბათუმელი გემშენებლები, მერე — ფოთელი მეთევზენი, სოხუმელი მეფეხსაცმელეები და ნავსადგურის ფიზკულტურელები, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტენი, ენგურჰესის მშენებლები, ქუთაისელი ავტომშენებლები, ქიმიკოსები და ფეიქრები, ჭიათურელი მემაღაროელები, გორელი მქსოველები და ფეიქრები, ზესტაფონელი და რუსთაველი მეტალურგები, თელაველი მეაბრეშუმენი. ესტაფეტა 22 ივლისს ჩამოვა თბილისში, სადაც მას შეხვედრას მოუწყობენ სპორტული კლუბების — „გამარჯვების“, „ფეიქრის“, „უშბის“, „განთიადისა“ და ათობით სხვა კოლექტივის საუკეთესო ფიზკულტურელები.

რესპუბლიკურ ესტაფეტას ერთმანეთს გადასცემენ მძლეოსნები და ველოსიპედისტები, მოტოციკლისტები, მეთევზეთა გლისერები და თბომავლები. 25 ივლისს იგი თვითმფრინავით მოსკოვისკენ აიღებს გეზს, რათა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის გახსნის დღეს დედაქალაქში ჩაიტანოს საიუბილეო სპორტული პატაკი.

ბ. კოვალიოვი,
ესტაფეტის ხელმძღვანელი.

სპარტაკიადა დამთავრდა, ტურნირები გაგრძელდება!

მახარაძეში დამთავრდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 9 სახეობა შედიოდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმო-დაწესებულებების, საშუალო სკოლების ნაკრები გუნდები.

ერთთვიანი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება და თასი ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა მაღაროთა სამმართველოს ნაკრები, III-V ადგილები გაიყვეს ჩაის მრეწველობის ტექნიკუმის, ცხემლისხიდისა და ასკანის კოლმეურნეობათა ფიზკულტურელებმა.

მაგრამ ეს არ იყო მახარაძელთა ბოლო საიუბილეო ტურნირი. განზრახულია სექტემბერ-ოქტომბერში მოეწყოს რაიონული თასის გათამაშება ფრენბურთში, კალათბურთსა და ფეხბურთში. საშვიდნოემბროდ რაიონის თითქმის ყველა სპორტულ ბაზაზე გაიმართება სამატჩო შეხვედრები სხვადასხვა სახეობაში, მოეწყობა ტურისტული ლაშქრობები.

ო. კიშინსკი,
მახარაძის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: ქართულ ჭიდაობაში — ო. ჭონიაშვილს (კასპის „სპარტაკი“), ს. ბახტაძეს, ა. მალაციძეს, გ. ნაეროზაშვილს, ლ. კაციაშვილს, ა. ვარდოშვილს (ყველა — კასპის „კოლმეურნე“), ს. ბადურაშვილს (თიანეთის „კოლმეურნე“), ნ. ქრისტესიაშვილს (ცხინვალის „კოლმეურნე“), გ. თანდილოვს (ზნაურის „კოლმეურნე“), გ. ლოტიშვილს (ლენინგორის „კოლმეურნე“).

[illegible]

◆ **საჩხერე**

კომკავშირის რაიკომისა და სპორტკავშირის თაოსნობით გაიმართა რაიონის პიონერხელმძღვანელთა ასპარეზობა სპორტის სამ სახეობაში (რბენა 60 მეტრზე, ყუმბარის ტყორცნა და ბირთვის კვრა). საერთო ჩათვლაში I-II ადგილები გაიყვეს წერეთლის სახელობის საჩხერის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელმა ნ. ენუქიძემ და მოხვის რვაწლიანი სკოლის პიონერხელმძღვანელმა ა. გაგნიძემ. III ადგილზეა ჭალის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი ნ. ქიმაძე.

ა. ანასაშვილი.

ფიზიკური კულტურის ხალხურობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ დიდ ყურადღებას უთმობს სოფლად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხს. საქმე ისაა, რომ თავად სისტემა ამ მუშაობის ორგანიზაციისა ჯერჯერობით სულაც არ გახლავთ სრულყოფილი და ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივი პირობების თავისებურებებს. ბოლო ხანს სოფლად გაჩნდა ბევრი საწარმო, ამაღლდა ახალგაზრდობის კულტურული მოთხოვნების დონე. მიუხედავად ამისა, ფიზკულტურა და სპორტი იქ ჯერ კიდევ არ არის მასობრივად განვითარებული. უშუალოდ საკოლმეურნეო მინდვრებზე, საძოვრებზე, ფერმებში იშვიათად ეწყობა ფიზკულტურული მეცადინეობა. როგორც წესი, სპორტული ცხოვრება მხოლოდ მაშინ გაცოცხლდება, როცა ქალაქიდან შეფები მოდიან. რატომ ხდება ასე? როგორ მოვიქცეთ, რომ ამ საქმეს ეშველოს?

წინადადება ათასნაირია. ზოგი მთელი მუშაობის ძირფესვიან გარდაქმნას, საკავშირო სასოფლო სპორტული საზოგადოების შექმნას მოითხოვს. ალბათ, ამაშიც არის გარკვეული აზრი.

პარტიისა და მთავრობის აგვისტოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ ხელი უნდა შევუწყოთ სოფლის ახალგაზრდობაში უფრო მისაწვდომი სახეობების დანერგვას.

ჩვენი აზრით, სოფლის მოსახლეობისთვის სხვებზე უფრო შესაფერად ის სახეობები უნდა ჩაითვალოს, რომლებიც ფართო მასისთვისაა ხელმისაწვდომი და არ სჭირდება ძვირად ღირებული და რთული, საგანგებო მოწყობილობა, მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრები. ესაა, პირველ ყოვლისა, სპორტის ხალხურ-ეროვნული სახეობები.

მე გახლდით კონსულტანტი დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის შემოქმედებითი ბრიგადისა, რომელმაც გადაიღო პანორამული სპორტული ფილმი ხევსურულ დოღსა და ფარიკაობაზე. მაშინ კიდევ ერთხელ ვირწმუნე ხალხური სახეობების სილამაზე და ცხოველმყოფელობა.

ვიდრე მთებისკენ გავუდგებოდი გზას, ეჭვი მომეძალა: ვაითუ, თანამედროვე ცხოვრების მძლავრმა დინებამ სულ გადაუკეტა გზა ტრადიციულ ხალხურ თამაშობებს, ვაითუ ველარ აღვბეჭდოთ ფირზე ცხენოსანთა და მოფარიკავეთა უზადო ოსტატობა-მეთქი. მაგრამ არა! თუმცა არც ამ სახეობათა საგანგებო სპორტული სექციებია შექმნილი, არც შეჯიბრებათა ოფიციალური რეგლამენტაცია არსებობს, ხევსური ახალგაზრდების ნაწილი (განსაკუთრებით, მოსწავლეები) ხალისით ეწაფება ცხენოსნობასა და ფარიკაობას.

ხევსურეთს არ დაუკარგავს ძველი, კარგი ტრადიცია, — სხვაგან ეროვნული სახეობები სავსებით მიივიწყეს. „ხევსურული ფარიკაობა“ კი, მაგალითად, არც ერთ თანამედროვე სახეობას ტოლს არ დაუდებს ილეთების სიმდიდრით, ნაირფეროვნებითა და სირთულით.

ფარიკაობა შეიძლება როგორც საწვრთნელი, ისე საბრძოლო იარაღებით. უკანასკნელ შემთხვევაში ურტყამენ ბრტყლად ან ყუით. დარტყმის ტექნიკისთვის დამახასიათებელია ხელის ფართოდ მოქნევა იარაღით დასაწყისში და მტევნის მოძრაობის მკვეთრი შეკავება ბოლოს. ამგვარად, მსუბუქი დარტყმა ძალზე სწრაფი და ზუსტია. ძლიერი დარტყმა სისუსტის, შიშის, სიმხდალის გამოვლინებად ითვლება.

ხევსურები შესაშური ხელოვნებით ფლობენ ხმალს. იქაური ახალგაზრდები ახლაც გატაცებული არიან „ფარიკაობით“. ალბათ, დროთა განმავლობაში ამ სახეობას კლასიკურ ფარიკაობასთან ერთად შეიტანენ საქართველოს სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებების პროგრამაში.

ძალზე სასიამოვნოა, რომ ხევსურეთში დავიწყებას არ მისცემია ხალხური დოღის მიმზიდველი და ვაჟკაცური სახეობა „მთიდან დაშვება“. მხედარი უბელო ცხენს მოაჭენებს მთიდან. წინათ ეს დაკრძალვის წეს-ჩვეულებებში შედიოდა, ახლა კი ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებაა. 1950 წლიდან დოღი ქართულ ხალხურ სახეობებში ასპარეზობის ოფიციალურ პროგრამაში შეიტანეს. „მთიდან დაშვება“ მრავალრიცხოვან მაყურებელს იზიდავს და დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ჩვენ ეროვნული სპორტის მხოლოდ ორ სახეობაზე ვილაპარაკეთ. სოფლად კი უამრავი ასეთი სახეობაა, დაწყებული მარტივი თამაშებიდან, ვიდრე რთულ ფიზიკურ ვარჯიშებამდე. შესაბამისი შერჩევის შემდეგ ისინი დიდად შეუწყობენ ხელს ყველა აუცილებელი სასიცოცხლო თვისების განვითარებას როგორც ბავშვებში, ისე ახალგაზრდებსა თუ ხანდაზმულებში. ეს უსაფუძვლო მტკიცება როდია: საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო - კვლევითმა ინსტიტუტმა, მაგალითად, ბოლო 20 წელიწადში დიდი მუშაობა ჩაატარა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ბავშვთა ხალხური თამაშობების შესასწავლად. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ის შედეგები, რაც ფიზკულტურის გაკვეთილებსა და სასკოლო დღესასწაულებზე ხალხური მოძრავი თამაშობების გამოყენების მეთოდიკის კვლევას მოჰყვა (ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია ნინო შიშნიაშვილმა). ამ კვლევამ ცხადყო, რომ ხალხურ-ეროვნული ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშობების სწორი გამოყენებით შეიძლებოდა შეგვექმნა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საშუალებათა მკაცრი სისტემა.

ახლა, სამწუხაროდ, საქართველოს სკოლების უმეტესობაში ფიზკულტურის გაკვეთილები თითქმის არ განირჩევა ერთი-მეორისგან. ერთი და იგივე მოსაწყენი ფიზიკური ვარჯიშები და თამაშობები, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ყოველგვარ ინტერესს უკლავს მოსწავლეს. მოდით, წარმოვიდგინოთ თუნდაც ერთი შემოქმედებითად გააზრებული გაკვეთილი, რომელიც „კლასიკური“ ნიმუშის მიხედვით არ იქნება აგებული და რომელზეც ფიზიკური აღზრდის ხალხური წყაროებიდან ამოკრეფილ საუკეთესო ვარჯიშებსა და თამაშობებს გამოვიყენებთ.

ასეთი გაკვეთილი არ შეიძლება მოსაწყენი იყოს, სხვათა შორის, ეს მთლად ფანტაზია როდია. საქართველოს ზოგ სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილებზე წარმატებით იყენებენ სხვადასხვა ხალხურ სახეობას, თამაშობას, ფიზიკურ ვარჯიშებს. ამ გაკვეთილებზე ყველა მოსწავლე ცდილობს ჩაებას ბავშვობიდან შეთვისებულ, საყვარელ, მარტივ, მაგრამ ემოციურ, მიმზიდველ, მასობრივ თამაშში. დაინტერესება კი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მთავარი პირობაა მეცადინეობის წარმატებით ჩატარებისა და, საერთოდ, ხალხის ყოფაცხოვრებაში ფიზკულტურის დანერგვისთვის.

ეს რომ სასიამოვნო გამონაკლისი კი არა, მტკიცედ დამკვიდრებული წესი იყოს, მაშინ საგრძნობი არ გახდებოდა საპროგრამო მასალისა და მოსწავლეთა ინტერესების შეუთანხმებლობა. ბავშვები ფიზკულტურის გაკვეთილის შემდეგ აღარ გააჩაღებდნენ სხვა თამაშს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება არც შეეფერებოდეს ჯანმრთელი, მორალურად მტკიცე ადამიანის აღზრდის თანამედროვე მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებების გამოყენება ამდიდრებს სპორტულ პრაქტიკას, ხელს უწყობს ფიზკულტურის პროპაგანდას. განა საინტერესო არ იყო ეროვნული სპორტის სხვადასხვა სახეობის, მათ შორის, ქართული ჭიდაობის ჩვენება სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში? უცნაურია, რომ ახლა ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებას, თუმცა, ამ მხრივ მაინც ბევრი რამ გაკეთდა. მაგალითად, საქართველოში რესპუბლიკური საკლასიფიკაციო ნორმატივებიც კი შემოიღეს ეროვნული სპორტის ხუთ სახეობაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ცენტრალური საბჭო რატომღაც არ ითვალისწინებს, რამდენი ოსტატი მომზადდა ეროვნულ სახეობებში. რა ეეჭვებათ? ოსტატთა მომზადების რეალური ხარისხი, „თუ ...?

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთში, მაგალითად, ოსტატთა მომზადების საკმაო გამოცდილება აქვთ (ავიღოთ ცნობილი რუსული თამაში რიკაობა).

ქართული ჭიდაობის, ლელოს, ცხენოსნობის, ეროვნული სპორტის სხვა სახეობების ოსტატები მომზადებით სულაც არ ჩამოუვარდებიან თავისუფალი ჭიდაობისა და სხვა საერთაშორისო სახეობების წარმომადგენლებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი სამბისტებისა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეების წარმატებას საფუძვლად სწორედ ხალხური ჭიდაობა უდევს.

ცოტა არ იყოს, უცნაურია: ერთის მხრივ ვაღიარებთ ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებების პოპულარობას, პედაგოგიურ ღირებულებასა და, აქედან გამომდინარე, მათი აღდგენა-გამოყენების აუცილებლობას. მეორეს მხრივ, ძალიან ცოტას ვაკეთებთ საიმისოდ, რომ მათ სათანადო ასახვა ჰპოვონ სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში. თუ ფიზიკური აღზრდის ხალხურ-ეროვნული და გავრცელებული თანამედროვე საშუალებები ურთიერთკავშირში არ იქნა, ფიზკულტურა და სპორტი კარგავს თავის ბუნებრივ სათავეს, კარგავს ხალხურ ხასიათს.

სოფლის კულტურული ევოლუცია ბევრში ქალაქის გაკვალულ გზას მიჰყვება. ამ მხრივ ქალაქი დიდ როლს ასრულებს. მაგრამ ამასთან და ყოველივე ამის მიუხედავად, სოფელს აქვს მთელი რიგი თავისებურებები. ფიზაღზრდის საშუალებათა შერჩევისა და სპორტულ შეჯიბრებათა პროგრამის შედგენისას უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ სპეციფიკური გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, ტრადიცია. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან ხელი არ უნდა შეუშალოს საერთაშორისო სახეობების დამკვიდრებას სოფლად.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხალხური გზების გამოუყენებლად სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმე წინ ვერ წავა. მაგრამ მთავარი მარტო ეს როდია. როგორც ჩანს, საჭიროა ერთი საზოგადოებრივი ფედერაცია, რომელიც დაამუშავებდა პროგრამას, შეარჩევდა სახეობებს, საჭირო გზით წარმართავდა ენთუზიასტთა საქმიანობას. ამიტომ ფედერაციის მუშაკთა აქტივს საქმის მცოდნე ხალხი უნდა წარმოადგენდეს. თავად ფედერაციას უნდა ჰქონდეს განყოფილებები, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებდა სპორტის საყოველთაოდ ცნობილ (საერთაშორისო) და ხალხურ სახეობებს.

ამას გარდა, ზემოხსენებული საკითხის სწორად გადაჭრამ შეიძლება დიდი აღმზრდელობითი და იდეური გავლენაც იქონიოს.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს, რომ რამდენიმე სიტყვით ეამბნა, რა ადგილი უჭირავს ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ეროვნულ სახეობებს.

გ. სიხარულიძემ პირველ ყოვლისა აღნიშნა ხალხურ-ეროვნულ სახეობათა დიდი მნიშვნელობა სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის. მან თქვა, რომ საქართველოს სპორტკავშირმა ხალხურ სახეობათა შემდგომი განვითარების მიზნით მოამზადა მასალები, რომელთა საფუძველზეც დაწესდა „საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის“ წოდება მთელ რიგ ეროვნულ სახეობებში.

გარდა ყოველწლიური რესპუბლიკური პირველობებისა ქართულ ჭიდაობაში, ცხენოსნობასა და ლელოში, ამ სახეობებს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. ამას გარდა, ქართული ჭიდაობა შეტანილი იყო რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, შედის ბევრი ჩვენი რაიონის საჩვენებელი ასპარეზობის პროგრამაში. თბილისის იპოდრომი დიდ მუშაობას ატარებს ადგილობრივი ცხენოსნურ-სპორტული თამაშებისა და დოღის პოპულარიზაციისთვის. აგვისტოში, მაგალითად, განზრახულია მოეწყოს სამატჩო შეხვედრები ცხენბურთში, ისინდში, ყაბახში... შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს რაიონებისა და ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე, არმიის გუნდები. წარმოებს მოლაპარაკება აზერბაიჯანის შესაბამის ორგანიზაციებთანაც.

ქართველი ცხენოსნები ჩაებმებიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენი ქარხნების X საიუბილეო დათვალიერებაში, სადაც მთავარი ადგილი საცხენოსნო სპორტის ხალხურ სახეობებს დაეთმობა.

განზრახულია ჩატარდეს მასობრივი სასოფლო შეჯიბრებები მშვილდოსნობაში. სათანადო ადგილი დაეთმობა ცხენბურთს, ისინდს, ყაბახს, თარჩიას, მთიდან დაშვებას. რესპუბლიკის ბევრ ქალაქში უჩვენებენ ხალხურ თამაშს ლელოს. იგი ერთ-ერთ მთავარ ადგილს დაიჭერს სასოფლო-სპორტულ დღესასწაულებში.

ყოველივე ამას ხელს უწყობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის საფუძველზე რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს ევალებათ გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები სპორტის ხალხურ-ეროვნული სახეობების განვითარებისთვის, ტრადიციად აქციონ ხალხური სპორტული შეჯიბრებები და ასპარეზობაში ფართოდ ჩააბან მოსახლეობა. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური მოჭიდავეები, ცხენოსნები, მოფარიკავეები, კალათბურთელები...

ჩვენში შემოღებულია „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის“ წოდება, რაც ხელს უწყობს ენთუზიასტთა მუშაობას ხალხურ-ეროვნული სახეობების დანერგვისთვის.

საუბრის დასასრულს გ. სიხარულიძემ შენიშნა, რომ გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, რესპუბლიკაში დასახულია სპორტის ხალხურ სახეობათა დანერგვის ფართო გეგმა.

დოც. ვ. ელაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.

ხევსურული ფარიკაობა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

III რესპუბლიკური...

თბილისის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს საქართველოს საშუალო სპეციალური სასწავლებლების III რესპუბლიკური სპარტაკიადა. დამთავრდა შეჯიბრებები ცურვაში, ძალოსნობასა და ველოსპორტში.

მოცურავეს მაშველი მოეხმარა

განაცხადში თეთრზე შავით ეწერა, რომ თბილისის პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტი მ. ხორავა მეორეთანრიგოსანია. სპარტაკიადაში მან 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში მოიპოვა პირველობა, მაგრამ შედეგი ერთობ არასახარბიელო იყო — 1.51,6. უთანრიგოდ დარჩა ყველა სხვა (სულ 8) მოასპარეზე. ვ. მელიქიშვილმა (თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი) კი იმდენი „მოახერხა“, რომ აუზის მოპირდაპირე კედლამდე ვერ მიაღწია და წყლიდან... მაშველმა ამოიყვანა.

საერთოდ, შეიმჩნევა, რომ სპორტის ამ სახეობას ტექნიკუმებში ყურადღებას არ აქცევენ. დედაქალაქში აბა, რა ბაზები გვაქვს და ხშირად ისინიც უქმად ცდება!

ყველაზე უკეთ მაინც თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის კოლექტივი იყო მომზადებული და საერთო პირველობაც მან დაისაკუთრა. ამ გუნდის ზოგიერთმა წევრმა დამაკმაყოფილებელი შედეგიც აჩვენა (მაგალითად, ბ. პარაფილომა 100 და 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში — 1.16,5 და 2.44,0. მისი თანაგუნდელი ვ. გამბარინი უძლიერესი იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 1.09,4).

საპრიზო ადგილები მოიპოვეს სხვა სასწავლებლების სპორტსმენებმაც: ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის გუნდის წევრმა ს. გურგენიძემ მოიგო 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვა, მისი თანაგუნდელი თ. ქინქლაძე პირველი იყო 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. ქუთაისელმა ვ. კირსანოვმა ყველა ჩამოიტოვა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით.

ვერც თუ დიდად გაგვახარეს

თუ ძალოსანთა შარშანდელი და წლევანდელი ასპარეზობის შედეგებს შევადარებთ, ერთგვარი პროგრესი თითქოს აშკარაა. წლეულს ოთხმა გამარჯვებულმა II თანრიგის ნორმა შეასრულა. ესენი არიან ქუთაისის სამთო ტექნიკუმის წარმომადგენლები: ა. მედოევი (ქვემსუბუქი წონა) — 250 კგ, ო. დოგუზოვი (მსუბუქი) — 280 კგ, ნ. დოგუზოვი (ქვესაშუალო) — 305 კგ და თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სპორტსმენი რ. გომართელი (ქვემძიმე) — 350 კგ.

ძველ დონეზე დარჩნენ ქუთაისის სამთო ტექნიკუმის წარმომადგენლები უ. მანჯავიძე (უმჩატესი წონა) და ა. ბეკოევი (პირველი მძიმე წონა). პირველმა მხოლოდ 220 კგ დააგროვა, მეორემ კი III თანრიგის ნორმაც ვერ შეასრულა. საშუალო წონაში კარგი იყო დ. ელეფთერიდი (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), რომელმაც შარშანდელ შეჯიბრებაში ნაჩვენებ შედეგს (235 კგ) 45 კგ-ით გადააჭარბა.

47 ძალოსნიდან ოთხმა შეასრულა II, ხოლო 15-მა — III თანრიგის ნორმა. სხვები მეტად უხეიროდ გამოვიდნენ. გუნდური ჩათვლა მიიღეს მხოლოდ ტურნირში გამარჯვებულმა — ქუთაისის სამთო ტექნიკუმის კოლექტივმა და თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ნაკრებმა.

შარშანდელი ჩემპიონები II ადგილზე

ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში შარშანდელმა ჩემპიონმა — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ძლიერმა გუნდმა პოზიციები დათმო. პირველობა ამჯერად მოიპოვეს თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტსმენებმა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ს. პავლოვას. თავდაპირველად მან თანაგუნდელ ა. პერეგუდოვას მოუგო ბრძოლა 25-კილომეტრიან დისტანციაზე. პავლოვას დროა 43.22,0, ხოლო პერეგუდოვასი — 43.23,0. შემდეგ პავლოვამ დამაჯერებლად მოიგო შეჯიბრება 15-კილომეტრიან დისტანციაზე, თანაც ეს მანძილი მან 23 წუთსა და 40 წამში დაფარა, რაც ოსტატობის კანდიდატის ნორმას უდრის.

ვაჟებიდან ოსტატობის კანდიდატის ნორმა აჩვენა ს. გრიშკევიჩმა (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) 25 კილომეტრზე რბოლაში — 35.38,0. მანვე გაიმარჯვა 100 კილომეტრზე რბოლაში — 2:33.16,5.

ველოსიპედისტები ძალოსნებზე უკეთ გამოვიდნენ. შეჯიბრების 32 მონაწილედან 17-მა სათანრიგო ნორმატივები შეასრულა: სამმა — ოსტატობის კანდიდატისა, ორმა — I თანრიგისა, ოთხმა — II თანრიგის, ხოლო რვამ — III თანრიგისა.

* * *

გრძელდება შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ხოლო მალე დაიწყება ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში.

ვ. ბუკია.

ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში

◆ მსაჯებს უჭირთ, მაყურებელს უხარია

ივანო-ფრანკოვსკი, 28 ივნისი. ლენინგრადელმა აკრობატებმა — საპატიო სპორტის ოსტატმა ო. მალკინამ და სპორტის ოსტატმა ვ. როეკოვმა დაისაკუთრეს სსრ კავშირის გარდამავალი თასი შერეული წყვილებისთვის. მათ სულ მეათედი ქულით ჩამორჩნენ ქვეყნის სამგზის ჩემპიონები, გორკელი ი. ბელიაევა და ვ. პოლინკინი. III ადგილზე არიან მოსკოველები კ. დანილოვა და ო. შიპილოვი.

შერეულ აკრობატულ წყვილთა ასპარეზობა (თასის გათამაშების ფინალში 7 წყვილი მონაწილეობდა) ძალზე ეფექტურია. შეჯიბრების თითქმის ყველა მონაწილემ უზადო ოსტატობა გვიჩვენა. იმისთვის, რომ გამარჯვების ბედი გადაეწყვიტა, მსაჯთა კოლეგიამ თავისუფალ ვარჯიშში მინიჭებული ქულებიც გამოიყენა.

სილამაზისა და სისხარტის ამ დღესასწაულმა დიდი სიამოვნება მოჰგვარა მაყურებელს.

◆ „სპორტსმენი“ - უნივერსალი

ბაქო, 28 ივნისი. აზერბაიჯანის ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელს ო. ზეიცს სპორტის ყველა სახეობა უყვარს. მაგრამ ამას ზიანი კი არა, ჯილდოები მოაქვს მისთვის. საქმე ისაა, რომ ეს მრავალმხრივი გატაცება მხოლოდ კოლექციონერობის სურვილში მჟღავნდება. ზეიცის კოლექცია — „სპორტის სახეობები“ — საუკეთესო აღმოჩნდა სპორტული ნიშნების პირველ რესპუბლიკურ გამოფენაზე.

სპორტი ფილატელიაში

ო. ზეიცი წარსულში კარგი კალათბურთელი, აზერბაიჯანის მრავალგზის ჩემპიონი იყო. მან ფილატელიის სარბიელზეც პირველად როდი ისახელა თავი. ზეიცის კოლექციებს მედლები მიუღიათ საერთაშორისო გამოფენებზე იტალიაში, უნგრეთში.

ა. შარინსკი კი, იმავე ინსტიტუტის ფიზაღზრდის მასწავლებელი, მხოლოდ კალათბურთით შემოიფარგლა ფილატელიზმში. მისი კოლექცია „კალათბურთელები“ სახელოვნად დაბრუნდა პოლონეთიდან, იტალიიდან და გაიმარჯვა ახლაც, აზერბაიჯანის გამოფენაზე.

ჯილდო მიეკუთვნა სოიუზპეჩატის მუშაკის ვ. ტოპალოვის ექსპოზიციას „ტოკიოს ოლიმპიური თამაშები“. ამ რამდენიმე წლის წინ ტოპალოვმა იტალიის საერთაშორისო გამოფენაზე გაგზავნა „პოლონეთის საფოსტო სპორტული ნიშნები“. მისმა ნამუშევარმა უფრო მაღალი შეფასება მიიღო, ვიდრე თავად პოლონელი ფილატელისტების სტენდებმა ამავე თემაზე.

აზერბაიჯანის პირველ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კოლექციები ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატის, ჭაბუკთა სპორტის, მძლეოსნობის, კრივისა და სპორტის სხვა სახეობათა თემებზე.

◆ რეკორდები საიუბილეოდ

ზაპოროჟიე, 28 ივნისი. **უკრაინის IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს ლუგანსკის ოლქის ძალოსნებმა. მათ I გუნდური ადგილი მოიპოვეს და სამ, ყველაზე „მძიმე“ წონაში აჯობეს ყველას: ქვემძიმეში ჩემპიონი გახდა ა. კიდიაევი (482,5 კგ), მძიმეში ი. იაბლონოვსკი (492) და ზემძიმეში — გ. დიაჩენკო (510). ასპარეზობისას დამყარებულ იქნა ორი რესპუბლიკური რეკორდი მსუბუქ წონაში: ლვოველმა პ. კოროლმა სამჭიდში მოაგროვა 405 კგ, ხოლო ადგილობრივმა ათლეტმა მ. კოგანმა 132,5 კგ აჰიმა.**

◆ კიეველები — პირველნი

კიევი, 28 ივნისი. დღეს უკრაინის IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინიშია. მართალია, დილით დასკვნითი სტარტები მიმდინარეობდა, მაგრამ უკვე ცნობილი იყო სპარტაკიადაში გამარჯვებული. ეს გახლდათ კიევის კოლექტივი, რომელმაც თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა. კიეველებმა მოიპოვეს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი პრიზი.

... როცა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე სიმაღლეზე მხტომელი ვაჟები დადგნენ, მედლები მათ გადასცა რესპუბლიკაში პატივცემულმა ადამიანმა, უკრაინის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ლონსკიმ. „ოქრო“ მოიხვეჭა კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ვოლკოვმა (206 სმ). მადლობის ნიშნად ჩემპიონი გადაეხვია ლონსკის. ვოლკოვი პატარაობიდანვე ვარჯიშობდა ბერდიჩევის ბავშვთა სპორტულ სკოლაში ლონსკის ხელმძღვანელობით. ამ ამაგდარი მწვრთნელის აღზრდილები არიან ცნობილი მხტომელები ვ. სკვორცოვი და ა. მოროზი. და აი, ახლა კიდევ ერთი მისი აღზრდილი ეზიარა დიდ სპორტს.

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს 4 რეკორდი დაამყარეს მოსკოვის მე-2 აეროკლუბის პლანერისტებმა. ა. ზაიცევი მგზავრთან ერთად ორადგილიანი პლანერით აფრინდა ტულის ერთ-ერთი აეროდრომიდან და დაეშვა წინასწარ მოცემულ დასახლებულ პუნქტში. მათ 916 კმ იფრინეს. იგივე მანძილი იმავე ტიპის პლანერით დაფარა მფრინავმა-მონავარდემ ი. კუზნეცოვმა მგზავრთან ერთად. მათ შეასრულეს თავისუფალი ფრენა მაქსიმალურ სიშორეზე. ორადგილიანი პლანერით დიდ წარმატებას მიაღწიეს მფრინავმა ტ. პავლოვამ მგზავრთან ერთად (წინასწარ დასახულ პუნქტში) და პილოტმა ი. გოროხოვამ მგზავრთან ერთად (მაქსიმალურ სიშორეზე). სპორტსმენებმა 870 კმ იფრინეს. მაქსიმალურ სიშორეზე თავისუფალ ფრენაში საკავშირო რეკორდი დაამყარა ი. სლეპოიმ, რომელმაც 845 კმ იფრინა ერთადგილიანი პლანერით.

სურათზე: პლანერისტები, სპორტის ოსტატები (მარცხნიდან) ტ. პავლოვა, ი. გოროხოვა, ი. სლეპოი, ი. კუზნეცოვი და ა. ზაიცევი.

ფოტო ბ. ტრეპეტოვისა (საკდესი).

სანამ პრიზები ელიან...

ევროპის მძლეოსნები ჩაებნენ კონტინენტის თასებისთვის ბრძოლაში — ისინი იბრძვიან ქალთა და ვაჟთა არაოფიციალური გუნდური პირველობის პრიზების დასაკუთრებისთვის. ჯერჯერობით ორივე ეს პრიზი — მასიური ფლორენციული ოქროს თასი (ვაჟთა საუკეთესო ნაკრებისთვის) და მოხდენილი ვერცხლის ფიგურა ქალიშვილისა (უძლიერესი ქალთა გუნდის ნადავლი) ლუვენიის სპორტის მუზეუმში ინახება. იქ ეს საზუკვარი ჯილდოები საბჭოთა მძლეოსანმა ვაჟებმა და ქალებმა „გაწკრეს“ მას შემდეგ, რაც დასავლეთგერმანულ ქალაქებში შტუტგარტსა და კასელში პირველ შეჯიბრებებში იმარჯვეს.

სექტემბერში კიევში გაიმართება ფინალური შეჯიბრებები, რის შემდეგ ცნობილი გახდება, შეიცვლიან თუ არა ზემოაღნიშნული პრიზები თავიანთ ადგილსამყოფელს.

ჯერჯერობით ბრძოლა დაიწყეს ვაჟთა იმ გუნდებმა, რომელთაც ევროპის მძლეოსნურ სამყაროში თავიანთი რანგით უფლება არა აქვთ წინასწარი შეჯიბრებების ჩაუტარებლად იასპარეზონ ნახევარფინალებში.

დუბლინში ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიის, ირლანდიისა და ისლანდიის მძლეოსნები. გაიმარჯვეს ბელგიელებმა. 3 ათას მეტრზე წინაღობებით რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენმა გ. რულანტსმა სტაიერულ დისტანციებზე ასპარეზობის გამო უარი თქვა თავის ღვიძლ სახეობაზე. ბელგიელი არც შემცდარა: მან ორივე სახეობა მოიგო — 5 ათას მეტრზე რბენაში აჩვენა 13.59,8, ხოლო 10 ათას მეტრზე — 29.14,8. ბელგიის ნაკრები შევიდა ნახევარფინალურ ჯგუფში, სადაც, აგრეთვე, იასპარეზებენ სსრ კავშირის, გდრ-ის, შვეციის, ფინეთისა და ნორვეგიის მძლეოსნები (სტოკჰოლმი, 22-23 ივლისი).

ათენში „შვეიცარიის“ მძლეოსნებმა დაამარცხეს ესპანელები, პორტუგალიელები, ბერძნები და მიიღეს დუისბურგის (გფრ) საგზური, რომლის ნახევარფინალში აგრეთვე გამოვლენ დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის გუნდები.

კოპენჰაგენში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ავსტრიის, თურქეთის, დანიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები. აქ ყველას აჯობა ჰოლანდიის ნაკრებმა, რომელიც ოსტრავაში (ჩეხოსლოვაკია) ეასპარეზება პოლონეთის, საფრანგეთის, რუმინეთის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსნებს.

ქალები პირდაპირ ნახევარფინალებში დაიწყებენ ასპარეზობას. ეს შეჯიბრებები სამ ქალაქში — ოსლოში, ვუპერტალსა (გფრ) და დრეზდენში მოეწყობა 16 ივლისს.



ტალღაზე...

ფოტო ო. გელაშვილისა.

„თეთრი ოლიმპიადა“ — ფერად ტელეეკრანზე

პარიზი, 28 ივნისი. **გრენობლის მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშები ფერადი ტელევიზიით გადაიცემა! ეს სასიამოვნო ამბავი პრესის წარმომადგენლებს აცნობა საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის სამმართველოს გენერალურმა დირექტორმა ჟაკ-ბერნარ დიუპონმა.**

შეჯიბრებები უმეტეს სახეობაში ფერში პირდაპირ ასპარეზობის ადგილიდან გადაიცემა ვიდეომაგნიტოფონზე წინასწარ ჩაუწერლად. წინასწარი ჩაწერა მხოლოდ იმ შემთხვევებში განხორციელდება, როცა პირდაპირი გადაცემა ტექნიკური მიზეზებით შეუძლებელი აღმოჩნდება.

დიუპონმა დაადასტურა, რომ საფრანგეთის ტელევიზია ფერად გადაცემებს 1 ოქტომბერს დაიწყებს კვირაში 12 საათის ოდენობით. ეს შესაძლებელი გახდება ერთობლივი ფრანკო-საბჭოთა ფერადი ტელევიზია „სეკამის“ სისტემის წყალობით.

48 წუთი... პირველ სვლაზე

ბუდვა (იუგოსლავია), **28 ივნისი.** დიდოსტატთა ტურნირის 5 ტურის, ხოლო ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების 6 ტურის შემდეგ მასპინძლებთან მატჩში ლიდერობს სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდი — 15:10 (7 პარტია დაუმთავრებელია).

მოვლენები ისევ ძალიან მშვიდად და აუღელვებლად ვითარდება. მაგალითად, სამშაბათს გათამაშებული 12 პარტიიდან შესვენებამდე მხოლოდ 3 დამთავრდა. ბრწყინვალედ, თავის სტილში გაიმარჯვა მ. ტალმა იუგოსლაველ ოსტატ დ. მინიჩთან. თანაც, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის პირველი სვლის შემდეგ მისმა მეტოქემ პასუხზე იფიქრა... 48 წუთი.

დანარჩენი ორი შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

პირად ჩათვლაში ლიდერობენ: ვ. კორჩნოი — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტ. ზატულოვსკაია — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლ. გრიგორიანი — 3,5 ქულა 6-დან.

ბაკშეევამ, დმიტრიევამ, ლეიუსმა...

ლონდონი, 28 ივნისი. **უიმბლდონის ტურნირის პირველი ზღუდე წარმატებით გადალახეს სსრ კავშირის ქალთა ჩოგბურთის ლიდერებმა: ჩემპიონმა ბაკშეევამ დაამარცხა ამერიკელი ფალესი, ხოლო ექს-ჩემპიონმა დმიტრიევამ — ინგლისელი რობერტსი — 6:1, 6:1. მაგრამ აი, ნორჩი მოსკოველი ჩოგბურთელი რაუზა ისლანოვა დამარცხდა ინგლისელ ლოიდთან — 6:2, 3:6, 4:6. კარგად აიღო სტარტი თომას ლეიუსმაც, რომელმაც მოუგო ლისისს — 6:3, 6:2, 6:4. დანიის გუნდის ლიდერმა ლეშლიმ ფარ-ხმალი დააყრევინა ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს არილას — 6:3, 6:2, 6:1.**

ფეხბურთი

„ინტერის“ მესვეურნი იმედს არ კარგავენ

როგორც პრესა იუწყება, იტალიელმა მილიონერმა ა. მორატიმ, რომელიც მილანის „ინტერნაციონალეს“ მესაკუთრეა, გუნდის თავიდან მოცილება დააპირა და გამოაცხადა, რომ „ინტერი“ სააქციონერო საზოგადოებად უნდა გადაიქცეს. მორატის ნაბიჯი გასაგებია, ვინაიდან შემოსავლის მომტანი „ინტერი“ წლევანდელი ფიასკოს შემდეგ შეიძლება არარენტაბელურ გუნდად იქცეს და მორატის პოპულარობასაც ავნოს.

მაგრამ უკანასკნელი ცნობებით, მორატიმ თავი შეიკავა და გუნდის ხელმძღვანელობას უბრძანა ახალი სეზონის დაწყებამდე გადაახალისოს ექს-ჩემპიონის რიგები. ამასთან მან განაცხადა, რომ არ დაიშურებს ფულს ახალი ვარსკვლავების შესაძენად.

მესამე, დასკვნითი...

დონის როსტოვი, 27 ივნისი. სსრ კავშირში სტუმრად მყოფმა სოფიის „ლევსკის“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ მესამე, დასკვნითი მატჩი გამართა. ამჯერად იგი ეთამაშა ადგილობრივ არმიელებს. შეხვედრის შედეგია ფრე — 2:2. ბურთები გაიტანეს: კოპაევმა, ბუროვმა (ასკ), სოკოლოვმა და ნიკოლოვმა („ლევსკი“).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან სპორტის დამსახურებული ოსტატის

არჩილ სამუელის ძე კიკნაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 ივნისს 20 საათზე, არაგვის ქ. № 14. დაკრძალვა 1 ივლისს, 16 საათზე — „დინამოს“ სტადიონიდან.

თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები მწუხარებით იუწყებიან სპორტის დამსახურებული ოსტატის

არჩილ სამუელის ძე კიკნაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სპორტულ არენაზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **30 ივნისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 45 წ.